

განხილულია ბუნკერში ფხვიერი მასალის მოძრაობა ორი შემთხვევისთვის:

1) როდესაც ბუნკერში მოთავსებულ ფხვიერ მასალას რეგულირებადი წნევით მიეწოდება წყლის ჭავლი (ნახ.1ა) და 2) როდესაც ფხვიერი მასალა მოძრაობაში მოდის ბუნკერზე ხისტად მიმაგრებული ვიბრატორიდან (ნახ.1ბ).

დამუშავებულია სისტემის „ვიბროამძრავი-დრეკადფსკერიანი მუშა ორგანო-ფხვიერი ტექნოლოგიური ტვირთი“ სივრცითი ვიბრაციული მოძრაობის მათემატიკური მოდელი. სადაც ჩვენს მიერ ადრე დამუშავებულ მოდელში აბსოლუტურად ხისტი მუშა ორგანო შეიცვალა დრეკადფსკერიანი მუშა ორგანოთი.

როგორც კვლევებმა აჩვენა ჭურჭელში ფხვიერი მასის (წვრილმარცვლოვანი ქვიშის) სიმაღლის გაზრდით გადაცემული ვიბრაციის ამპლიტუდა მცირდება და 20 სმ და მეტი სისქის პირობებში 0 - ს უახლოვდება. დაახლოებით ასეთი ტენდენცია დაფიქსირდა გაჯის მიმართაც.